შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
"აკადემიკოს ნიკოლოზ ყიფშიძის სახელობის
ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკა"
Academician N. Kipshidze Central University Clinic, LTD

საქართველო, თბილისი 0160, ვაჟა-ფშაველას გამზ. 29. 29, Vazha-Pshavela Ave., 0160 Tbilisi, Georgia. +(995 32) 2 392389/395573 Fax:+(995 32) 2 395573; E-mail: info@respublikuri.ge

"26 04 2017 წ ქ. თბილისი

01-2462/6

საქართველოს პრემიერ–მინისტრს,
სს „საპარტნიორო ფონდის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს
ბატონ გიორგი კვირიკაშვილს

ბატონო გიორგი,

მოგახსენებთ, რომ შპს "აკად. ნ. ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკის" ფაქტიურ მოხმარებაში არსებული ქონება გადაეცა შპს "კლინიკების განვითარების კომპანიას" და ის 100 % წილის მესაკუთრე გახდა. აქვე მოგახსენებთ, რომ სს "საპარტნიორო ფონდმა" მიიღო გადაწყვეტილება შპს „კლინიკების განვითარების კომპანიასა" და შპს „აკად. ნ.ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკას" შორის საიჯარო ხელშეკრულების გაფორმების შესახებ.

შპს „ აკად.ნ.ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკის" ადმინისტრაცია და კოლექტივი გაგებით ეკიდება და ეთანხმება ფონდის პოზიციას იურიდიული თვალსაზრისით სწორად გაიმართოს კლინიკის ფაქტიურ მოხმარებაში მყოფი ქონებისა და მთლიანად კლინიკის სამართლებრივი სტატუსი. ასევე ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო და არის კანონით გათვალისწინებული გადასახადების გადახდა.

ამასთანავე მიგვაჩნია, გამომდინარე იქედან, რომ კლინიკის საშუალო მოგება თვეში 60,000 ლარის ფარგლებში მერყეობს, საიჯარო ხელშეკრულებაში დასახელებული თანხის 211,160 ლარის (მიუხედავად იმისა, რომ როგორც ითქვა, სახელმწიფო გადასახადების გადახდისთანავე თანხა ნაწილობრივ, დასაბუთებული მოთხოვნის შესაბამისად, დაგვიბრუნდება უკან) გადახდა პრაქტიკულად შეუძლებელია, მძიმე ტვირთად დააწვება კლინიკას, ხელს შეუშლის მის შეუფერხებელ მუშაობას და საბოლოო ჯამში უარყოფითად აისახება სამედიცინო მომსხურეობის ხარისხზე. ზემოთ აღნიშნული მოგების თანხა აუცილებელია კლინიკის ფუნქციონირებისათვის და განვითარებისათვის(შენობა–ნაგებობის, აპარატურის და დანადგარების შეკეთება –განახლებისთვის, რაც თავისთავად სამედიცინო მომსახურეობის მაღალი ხარისხის შენარჩუნებისათვისარის აუცილებელი). მოგახსენებთ, რომ სწორედ ამ მიზნით განახორციელა კლინიკამ 2012 წლიდან დღემდე დაახლოებით 4,500,000 ლარის რეინვესტიცია.

ბატონო გიორგო, საკითხის აქტუალურობიდან და მნიშვნელობიდან გამომდინარე, უმორჩილესად გთხოვთ კიდევ ერთხელ განხილული იქნას აღნიშნული საკითხი სს"საპარტიორო ფონდის" სამეთვალყურეო საბჭოს სხდომაზე და მოგვეცეს საშუალება დავაფიქსიროთ ჩვენი პოზიცია.

ღრმა პატივისცემით,
ავთანილ იმედაძე

გენერალური დირექტორი

№ 13013
26 04 2017
1